პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 101 (3078)

28 მაისი 1966 წ. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. ქალთა შეჯიბრებაში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ჩვენი ქვეყნის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა მოსწავლემ ნ. კუჩინსკაიამ. მან საუკეთესო შედეგები აჩვენა როგორც საველდებულო (38,099), ისე ნებისმიერ (38,199) ვარჯიშში და საბოლოოდ, 76,298 ქულით თასიც დაისაკუთრა. II იყო ლ. პეტრიკი (ვიტებსკი) — 75,965, III — ზ. დრუჟინინა (მოსკოვის ოლქი) — 75,198.

თბილისელმა ა. ჯანუყაშვილმა 75,031 ქულით IV ადგილი დაისაკუთრა.

ვაჟთა ასპარეზობაში ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა მ. ვორონინმა (მოსკოვი). მან 115 ქულა მოაგროვა და თასს პირველად დაეპატრონა. ნებისმიერ პროგრამაში ტამკენტელ ს. დიომიდოვს გაასწრო მოსკოვის არმიელმა ვ. ლისიცკიმ (114,25) და აიძულა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი III ადგილით დაკმაყოფილებულიყო (114).

• • •

სურათებზე: ზევით — ა. ჯანუყაშვილი დვირზე ვარჯიშის დროს; შუაში — ნ. კუჩინსკაია; ქვევით — მ. ვორონინი ტაიჭზე ვარჯიშისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



კალინინგრადის იახტკლუბში 3300-ზე მეტი სპორტსმენი მეცადინეობს. ესენი არიან მუშა-მოსამსახურეები, მეცნიერი მუშაკები, სტუდენტები, მოსწავლეები. ზოგი ახლა ეუფლება იალქნის მართვის ხელოვნებას, ზოგი უკვე სპორტულ ოსტატობას ხვეწს.

თუ ადრე IV ადგილი დაიკავეს რსფსრ-ს პირველობაში, ახლა კალინინგრადელებს უფრო დიდი წარმატების იმედი აქვთ. კლუბის საუკეთესო აფროსნები გულდაგულ ემზადებიან შეჯიბრებისათვის.

• • •

სურათზე: კალინინგრადის იახტკლუბის სპორტსმენები ვარჯიშის დროს.

ფოტო ა. სტუუენისა (საკდენი).

პარტია გადაიდო

მოსკოვი, 27 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში XIX პარტიით განახლდა ბრძოლა პეტროსიან — სპასკის მატჩში.

მეფის პაიკის წინსვლაზე პეტროსიანმა მეტოქეს ფრანგული დაცვით უპასუხა, რომელიც მეორედ გამოიყენა მატჩში. მაგრამ ამჯერად მან უფრო აქტიური ვარიანტი აირჩია. არც სპასკი დარჩა ვალში: თამაში განაგრძო იმ გეგმით, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა გასულ საუკუნეში. მაგრამ უპირატესობა ვერ მიიღო. პეტროსიანმა მალე განმუხტა დაძაბულობა ცენტრში და კონტრთამაში შექმნა.

მე-16-სვლის შემდეგ სპასკის წინაშე დაისახა ამოცანა: დაუფლებოდა e5 უჯრას. მან ეს ვერ მოახერხა. პეტროსიანმა შედარებით იოლად განახორციელა ცენტრალური პაიკის წინსვლა და მთლიანად გაათანაბრა თამაში.

29-ე სვლაზე პეტროსიანმა ყაიმი შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ სპასკიმ არ მიიღო იგი. თანდათან სპასკიმ თვალშესაჩვენებად გააძლიერა თავისი პოზიცია და უპირატესობაც მიიღო. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო, რომელშიც პრეტენდენტს უკეთესი პოზიცია აქვს.

აი, XIX პარტიაც:

სპასკი — პეტროსიანი

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 მf6 4. e5 მfd7 5. მf3 c5 6. ძc მc6 7. კf4 კ:c5 8. კd3 f6 9. ef მ:f6 10. 0—0 0—0 11. მe5 კd7 12. მ:c6 კ:c6 13. ლe2 ლe7 14. ეae1 ეae8 15. კg3 a6 16. a3 ლf7 17. b4 კd4 18. კe5 კ:e5 19. ლ:e5 მd7 20. ლg3 e5 21. f3 ლf4 22. ლ:f4 ე:f4 23. ეf2 g6 24. ეd2 მb6 25. ეde2 მd7 26. მd1 b5 27. c3 ეf7 28. კc2 მფg7 29. კb3 h5 30. მe3 მb6 31. მc2 მd7 32. ეe3 h4 33. h3 ეf6 34. მd4 კb7 35. a4 ეd8 36. მe2 ba 37. კ:a4 მb6 38. კb3 e4 39. მd4 მფh6 40. ეd1 ეc8. 41-ე სვლა ჩაიწერა სპასკიმ.

ამრიგად, XIX პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიში — 9,5:8,5 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ — ჯერჯერობით უცვლელია.

„ვერცხლს“ დასჯერდნენ

კიევი, 27 მაისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის ბოლო დღეს თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდა კაუნასის „ჟალგირისს“ და დამარცხდა — 25:30.

თბილისელთა ერთადერთი მეტოქე „ოქროსთვის“ ბრძოლაში — მოსკოვის „კუნცევო“ უკეთესად გამოვიდა — მან ფრედ დაამთავრა შეხვედრა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ — 19:19.

ამრიგად, მოსკოველებმა 19 ქულა მოაგროვეს და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს. 18 ქულით II ადგილი დაიკავა თბილისის „ბურევესტნიკმა“. ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს კაუნასელებმა — 17 ქულა.


ინტერესნიკი
ს

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

ლიდერობს „სინათლე“

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის ძალთა შემოწმებას ისახავს მიზნად თბილისის სპორტული კლუბებისა და მათთან გათანაბრებული საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო სპარტაკიადა, რომელმაც სტარტი ჯერ კიდევ ზამთარში, სათხილამურო სპორტში გამართული შეჯიბრებით აიღო. როგორც მაშინ ვიტყობინებოდით, ამ სახეობაში გუნდური გამარჯვება ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისნის“ ფიზკულტურელებმა მოიპოვეს. II იყო თბილისის ელმავალსაშენი ქარხნის კოლექტივი, ხოლო III — სპორტკლუბ „ფეიქრის“ გუნდი.

ამას გარდა, სპარტაკიადის მონაწილეთათვის სავალდებულოა ყველა ის სახეობა, რომლებიც შედის სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამაში საწარმოთა კოლექტივებისთვის — საგზაკეცილო ველოსიპედობა, მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში და ძალოსნობა. მაგრამ, სპორტის მასობრივობისა და სპარტაკიადაში მონაწილე კოლექტივების შესაძლებლობათა სრულად გამოვლენისთვის, ქალაქის სპორტკავშირმა ტურნირი მარტო ზემოაღნიშნული სახეობებით როდი შემოფარგლა. ასპარეზობის პროგრამაში შედის, აგრეთვე, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობა, ტყვიის სროლა და სხვ. ამ სახეობებიდან 6 არჩევითაა. გამარჯვებულად ჩაითვლება ის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც საერთო ჯამში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.



დამთავრდა შეხვედრები კიდევ რამდენიმე სახეობაში.

ფრენბურთელთა ასპარეზობაში ვაჟთა 6 და ქალთა 5 გუნდი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილები აქ ასე განაწილდა—ვაჟებში: 1. ელმავალსაშენი ქარხანა, 2. „სინათლე“, 3. „განთიადი“; ქალებში: 1. „განთიადი“, 2. „ისანი“, 3. „ფეიქარი“.

მოჭადრაკეთა ტურნირი წრიული სისტემით გაიმართა. ყოველ კოლექტივს 2 ვაჟი და 2 ქალი გამოეყოფა სათამაშოდ. მატჩები კარგად ჩაატარა „სინათლემ“, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბ. გურგენიძე, ა. ჯავახია, დ. სამადაშვილი, ა. ჩაიკოვსკაია და ა. ერისთავი. მათ ერთნაირი ანგარიშით — 4 : 1 — დაამარცხეს „ფეიქარი“, „ელმავალი“, „ისანი“, ითუგეს „გამარჯვებას“ — 4,5 : 0,5 და ყაიმით (2,5 : 2,5) ითამაშეს III პრიზიორთან — „განთიადის“ მოჭადრაკეებთან. II ადგილი დაიკავეს „გამარჯვების“ წარმომადგენლებმა.

სამწუხაროდ, შეჯიბრების ზოგი მონაწილე ხშირად სულ არ ცხადდებოდა სათამაშოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით „ისახელეს“ თავი „ელმავლის“ მოჭადრაკეებმა.

ქართულ ჭიდაობაში პირველობისათვის ბრძოლა „სინათლისა“ და „გამარჯვების“ გუნდებს შორის გაჩაღდა. გაიმარჯვა „სინათლემ“. III ადგილზეა ელმავალსაშენი ქარხანა.

„სინათლემ“ კიდევ ერთხელ ისახელა თავი, — ამჯერად, მაგიდის ჩოგბურთში. აი, რა ანგარიშით დაამარცხა მან მეტოქეები: „გამარჯვება“ და ელმავალსაშენი ქარხანა — 3 : 2, „ისანი“ და „ელმავალი“ — 3 : 0, „ფეიქარი“ — 3 : 1. „სინათლესთან“ წაგების შემდეგ „გამარჯვების“ სპორტსმენებმა სხვებზე [illegible] ლა მეტოქეს „შრომა“ ანგარიშით (3 : 0) [illegible] კუთრეს. III ადგილზეა ელმავალსაშენი ქარხნის გუნდი. აღსანიშნავია, რომ „ფეიქარს“ არც ერთი მატჩი არ მოუგია, ყველა შეხვედრა „შრომა“ ანგარიშით წააგო და მხოლოდ ელმავალსაშენი ქარხნის ჩოგბურთელებს გაუწია ერთგვარი წინააღმდეგობა.

ამრიგად, დღესდღეობით საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს „სინათლის“ ფიზკულტურული კოლექტივი.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: ქართულ ჭიდაობაში ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კონკურსი სცენარისთვის

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სპორტკავშირმა და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გამოაცხადეს რესპუბლიკური კონკურსი მხატვრული, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული სპორტული ფილმების ლიტერატურული სცენარებისთვის.

კონკურსი ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავს.

საკონკურსოდ წარდგენილი ნაწარმოებები უნდა პასუხობდეს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის, მისი სულიერი სამყაროს ჰარმონიული განვითარებისა და ფიზიკური სრულყოფის საქმეს.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები. სცენარებს წარადგენენ ავტორები ერთ ცალად, ქართულ ენაზე, მანქანაზე გადაბეჭდილს, დევიზის თანდართვით. ცნობა ავტორის სახელის, გვარის, მამის სახელის, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შესახებ იგზავნება ცალკე კონვერტით, რომელსაც უნდა დაეწეროს დევიზი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

მხატვრული ფილმის სცენარისთვის:

1 პირველი პრემია — 500 მანეთი;
2 მეორე პრემია — 300 მანეთი;
2 მესამე პრემია — 200 მანეთი.

დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სცენარებისთვის:

1 პირველი პრემია — 300 მანეთი;
2 მეორე პრემია — 250 მანეთი;
2 მესამე პრემია — 150 მანეთი.

პრემირებული სცენარები რეკომენდებული იქნება დასადგმელად.

სცენარების წარდგენის ბოლო ვადაა 1967 წლის 15 ოქტომბერი.

ყვავს რა ჰქონდა...

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში (ლენინის რაიონი) ფეხბურთელთა გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. მაგრამ საქმეს მარტო გუნდი ხომ ვერ უშველიდა! საჭირო იყო თავი და თავი — საკუთარი სტადიონი. ხელმძღვანელობის დახმარებით, ენთუზიასტები შრომას შეუდგნენ და მალე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ თავისუფალ ფართობზე მძლეოსნობის სექტორებიანი საუცხოო მოედანი გააკეთეს.

ხალისით ვარჯიშობდნენ ქარხნის ფეხბურთელები, შეჯიბრებებიც იმართებოდა, მაგრამ სპორტსმენთა სახარული ხანმოკლე გამოდგა. ქარხნის ხელმძღვანელობა რომ შეიცვალა, ვარჯიშები შეწყდა, მოედნის შეკეთებაზე აღარავინ იზრუნა და სტადიონიც ნასტადიონარად იქცა.

საქმეში სახალხო მეურნეობის საბჭო ჩაერია, სტადიონი ულირსს ჩამოართვა და ქალაქის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს გადასცა (1 მაისის რაიონში).

საოცარი ის გახლდათ, რომ ამ „განაჩენს“ შამპანური ღვინოების ქარხნის მესვეურები გულგრილად შეხვდნენ. ახალი პატრონი აქტიურად ამოქმედდა, სტადიონი ისევ კეთილმოაწყო და ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს სამადლოდ აღუთქვა: თუ დაგჭირდებათ, გათხოვებთ, ბურთი თქვენი და მოედანი ჩვენიო.

— მერე რა მოხდა, სტადიონი მატრისთვის კი არ გადაგვიცია, აქვე არ არის? როცა გვინდა, მაშინ მოვიხმართ! — გვითხრა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ჰ. მამალაძემ.

მოდით, სტადიონის მეთვალყურეს გ. ქოქოლესაც მოვუსმინოთ:

— ორი წელიწადია ამ სტადიონის მცველად ვმუშაობ და აქვე ვცხოვრობ. ამ ხნის მანძილზე სულ ორჯერ თუ მინახავს მეღვინეთა გუნდი მოედანზე. თუმცა გუნდი სადღა ჰყავთ!

ქარხანაში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის შესახებ რომ გკითხეთ, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა გ. შაყულაშვილმა წლიური ანგარიში გამოგვიწოდა. იმ ანგარიშში ეწერა, რომ ქარხნის 700-მდე თანამშრომლიდან 240 ფიზკულტურელია, ჰყავთ 28 მესამეთანრიგოსანი, 1 პირველთანრიგოსანი და 1 სპორტის ოსტატი; რომ ჩამოყალიბებულა ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, თევზჭერის, ტურიზმის, ჭადრაკისა და სხვ., სულ თორმეტზმდე სექცია. ერთი შეხედვით, თითქოს ყოველივე რიგზეა, მაგრამ ეს ქაღალდზე ეწერა, თორემ სინამდვილეში...

გუნდებსა და შეჯიბრებებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ არა აქვთ კოლექტივის რეკორდების ცხრილი, ფიზკულტურელთა აღრიცხვის ჟურნალი, შეჯიბრებათა დებულებანი, სექციების მეცადინეობის გეგმა...

რომელიმე სექციის მეცადინეობაზე დასწრების სურვილი რომ გამოვთქვით, ინსტრუქტორმა ერთი კი გადმოგვხედა და ყური მოიყრუა.

ცუდადაა საწარმოო ტანვარჯიშის საქმეც. მართალია, ქარხნის დირექტორს ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო ბრძანება გამოუცია, მაგრამ ბრძანება ბრძანებად დარჩა.

...შესვენებაზე ქარხნის ეზოში გავედით. მზიანი დღე იყო და ფეიქრობდით, ახალგაზრდობა სპორტულ ბაზებზე იქნებოდა თავმოყრილი. აქაც გაგვიცრუვდა იმედი. ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები მოუვლელობით გაპარტახებული დაგვხვდა და, რა თქმა უნდა, კაცის ჭაჭანებაც არ იყო.

გასაგებია, რომ შამპანური ღვინოების კოლექტივი საქალაქო ტურნირებს გაურბის, ნებისთვ თუ უნებლიედ ხანდახან ისევ ფეხბურთელები თუ იფიქრებენ შეჯიბრებებში მონაწილეობას და ისინიც ხან ცხადდებიან საასპარეზოდ, ხან არა.

ამას გ. შაყულაშვილი ასე ხსნის:

— ჯიბრზე, მაინცდამაინც მატჩის წინ დათვრებიან ხოლმე და შეჯიბრებაზე ვეღარ მოდიან.

მუშა-ახალგაზრდებთან საუბარში გამოირკვა, რომ ქარხნის ხელმძღვანელობა სრულიად არ ზრუნავს მდგომარეობის გამოსწორებისთვის. საწარმოში მაინცდამაინც საჭიროდ არც კი მიაჩნიათ ფიზკულტურული მუშაობის გაშლა (სხვათა შორის, ამასვე ამბობენ გ. შაყულაშვილსა და ფიზსაბჭოს თავმჯდომარე ნ. ქარაზანაშვილზე).

შესაძლებლობა კი არის. მხოლოდ მონდომებაა საჭირო.

თ. კოპალეიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოში

სტადიონი „ლოკომოტივს“

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თხოვნა თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონის „ლოკომოტივისთვის“ გადაცემის შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, სხვათა შორის, გაითვალისწინა ისიც, რომ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობს სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში („ა“ კლასის II ჯგუფი), არ გააჩნია საკუთარი სტადიონი და გადაწყვიტა:

„ბურევესტნიკის“ სტადიონი გადაეცეს „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს დავავალა სტუდენტ-სპორტსმენებს სავარჯიშოდ და შეჯიბრებისთვის უსასყიდლოდ დაუთმოს სტადიონის მძლეოსნური ბილიკები, სექტორები, ფეხბურთის სათადარიგო მინდორი. აგრეთვე მოახდინოს ამ სპორტული ბაზის რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი.

ნორჩთა სტარტები

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლისა და ფეროშენადნობთა ქარხნის ბაზებზე დამთავრდა ზესტაფონის რაიონის მოსწავლე-მძლეოსანთა პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა 16 კოლექტივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა. ბეგრმა მოასპარეზემ აჩვენა მოზარდთა I თანრიგის ნორმა, ხოლო ზოგიერთმა მოზრდილთა III თანრიგის შედეგსაც მიაღწია. უმცროს ასაკში ე. ხარატიშვილმა (მე-2 სკოლა) ორი გამარჯვება იზეიმა — სიმაღლეზე ხტომასა (160 სმ) და ბირთვის კვრაში (11,90 მ).

ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ჭაბუკები: სიგრძეზე ხტომაში — ა. გოცაძე — 580, შუბის ტყორცნაში — ჰ. გოცაძე (ორივენი — მე-2 სკოლა) — 50,45; გოგონები: სიმაღლეზე ხტომაში — სვირელი ნ. არეშიძე — 125, სიგრძეზე ხტომაში — მ. ჯოღელი (მე-2 სკოლა) — 452 და სხვ.

ა. ბანუბრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

[illegible]

✦ ხაშური

8 სკოლის გუნდი მონაწილეობდა ნორჩ ფეხბურთელთა რაიონულ შეჯიბრებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ხაშურის მე-2 და რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლების გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ რკინიგზელებს.

ზ. მოსეშვილი.

მაჭრის „

თუ ეტრადის თეატრში პეტროსიან — სპასკის მატჩზე მოხვდით, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ სცენაზე „მოფუსფუსე“ ორ გოლიათს. ისინი არიან დიდი საჭადრაკო სპექტაკლის „დირიჟორები“ — ბელგიელი დიდოსტატი ალბერიკ ო'კელი და ჩეხოსლოვაკელი დიდოსტატი, დოქტორი მიროსლავ ფილიპი.

ფილიპი ცნობილია იმითაც, რომ იგი ყველაზე მაღალი (205 სმ) მოჭადრაკეა მსოფლიოში. მისი უფროსი კოლეგა ოდნავ მასზე „პატარაა“. არბიტრებს გოლიათური აღნაგობა განსაკუთრებით თვალნათლივ მაშინ ჩანს, როცა ისინი პეტროსიანთან ან სპასკისთან საუბრობენ. ჩვეულებრივ კი ო'კელიც და ფილიპიც სამაჯო მაგიდას უსხედან. დროგამოშვებით ო'კელი თუ წამოდგება, რომ საჭადრაკო საათის მუშაობა შეამოწმოს.

— გადაათვალიერეთ ო'კელის ახალი წიგნი „ტიგრან პეტროსიანი — მსოფლიო ჩემპიონი“? — მკითხა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის რედაქტორის მოადგილემ, საერთაშორისო ოსტატმა მ. იუდოვიჩმა და მაშინვე მანახა ბელგიაში ჩინებულად გამოცემული წიგნი. — ჩვენი მთავარი არბიტრი უაღრესად ნაყოფიერი ჟურნალისტი და მწერალია.

გამახსენდა ს. ფლორის ხუმრობა: ალბერიკი დიდ გახჭირშია, მდივნებს დაეძებს, ევროპისა და ამერიკის მეორე ორას გაზეთს დაჰპირდა კორესპონდენციებს მოსკოვიდან და ისე დაიბნა, რომ არც ერთისთვის არ გაუგზავნიაო.

ორასს არა, მაგრამ ბელგიის რამდენიმე გაზეთს მართლაც აწვდის ო'კელი შესანიშნავ წერილებს.

საერთოდ, ო'კელი მეტად ნიჭიერი კაცია. დიდი ჭადრაკის სარბიელზე [illegible] წლისა გამოვიდა (დაბადებულია 191[illegible] წელს). ო'კელის დოსტატებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისმა შემოქმედებითმა და პირადმა მეგობრობამ ღვაწლმოსილ დიდოსტატ აკიბა რუბინშტეინთან. ერთ დროს მსოფლიო ჩემპიონობის აღიარებულმა პრეტენდენტებმა, ე. ლასკერისა და ხ. კაპაბლანკამ მეტოქემ, „ბრძენმა აკიბამ“ სიცოცხლის ბოლო წლები ბრიუსელში გაატარა. საინტერესოა, რომ პეტროსიანი მი[illegible]

ᲭᲘᲢᲮᲘᲜᲘ, ᲒᲝᲚᲘᲜᲘ, ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗᲘ

მე-500 მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონატებში, მე-600 გოლი და მოგებული თამაში — ასეთი „საიუბილეო“ ციფრებით აღინიშნა დონეცკის „შახტიორმა“ მატჩი მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. მეშახტეთა ორივე გოლის ავტორი იყო ევსეენკო, ხოლო მოსკოველებისა — ჯორტკოვი.

კიევისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩში კიეველებს გამარჯვება მოუტანა მედვედიხა და მუნტიანის მიერ გატანილმა გოლებმა (2:0), ხოლო „კაირატისა“ და „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრაში ალმაათელთა გოლების ავტორები იყვნენ ვორონჩიხინი (2) და კვოჩკინი.

„ზენიტისა“ და „ნეფტიანიკის“ მატჩში ანგარიში გახსნა ბაქოელმა ტუაევმა, შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა ვარლამოვმა, ხოლო ნაუმოვმა და ვასილიევმა განამტკიცეს „ზენიტის“ გამარჯვება — 3:1.

ოდესის ორი გუნდის — „ჩერნომორეცისა“ და ასკ-ს შეხვედრაში არმიელთა მხრივ ერთადერთი ბურთი გაიტანა პრიგორკომ, ხოლო როსტოვის არმიელებისა და მინსკის „დინამოს“ მატჩში — როსტოველთა თავდამსხმელმა მატვეევმა.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას სადღეისოდ მეთაურობს კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ა. ბიშევეცი — 6 ბურთი. 5-5 გოლი აჭვთ გატანილი ე. მარჭაროვს („ნეფტიანიკი“), ვ. პარკუიანს (კიევის „დინამო“) და ნ. ოსიანინს („სპარტაკი“).

„ᲯᲘ“ ᲚᲘᲒᲐ — IᲯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მაისისთვის

I ᲙᲕᲔᲯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	9	7	2	0	24—2	16
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	9	6	3	0	13—3	15
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	9	4	4	1	17—6	12
„არარატი“ (ერევანი)	9	4	3	2	10—6	11
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	9	2	7	0	7—5	11
ასკ (როსტოვი)	8	5	1	2	12—11	11
„ტორპედო“ (მოსკოვი)	8	3	3	2	12—9	9
„დინამო“ (მოსკოვი)	9	4	1	4	8—7	9
ცსკა	8	2	5	1	9—9	9
„კაირატი“ (ალმა-ათა)	9	3	2	4	8—10	8
„დინამო“ (თბილისი)	8	2	3	3	7—6	7
„შახტიორი“ (დონეცკი)	8	3	1	4	7—11	7
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	9	3	1	5	9—15	7
ასკ (ოდესა)	8	1	4	3	4—9	6
„დინამო“ (მინსკი)	9	2	2	5	8—15	6
„ტორპედო“ (ქუთაისი)	9	3	0	6	12—20	6
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	8	1	3	4	5—10	5
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	8	1	3	4	5—14	5
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	8	1	0	7	7—16	2

ᲒᲣᲨᲘᲜ...

ᲝᲠᲘ 0:0

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ ადგილობრივი „პახტაკორი“ შეხვდა თბილისის „დინამოს“. თამაში საინტერესო, ტემპიანი და, ამავე დროს, კორექტული ბრძოლით აღინიშნა. შესვენებამდე თბილისელებს ორჯერ ჰქონდათ მეტოქის კარის აღების კარგი შესაძლებლობა: ჯერ ბარჭაია გავიდა „პახტაკორის“ მეკარის პირისპირ და 5 მეტრიდან პირდაპირ ხელებში დაურტყა ბურთი, ხოლო შემდეგ ასევე პირისპირ გასულმა ხუციშვილმა... ძელი შეაზანზარა.

შესვენების შემდეგ თბილისელები კვლავ უნაყოფოდ უტევდნენ, ერთხელ კი ურუშაძემ „დინამოს“ კარი აშკარა გოლისაგან იხსნა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ბურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარჭაია, გ. სიჭინავა, მაისურაძე.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 4:1.

• • •

მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი“ — „არარატი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ — ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

იუგოსლავიაში დამთავრდა უეფა-ს ტრადიციული ტურნირის მეოთხედფინალური მატჩები ქვეჯგუფებში იუნიორთა შორის.

საბჭოთა ნაკრებს ბოლო შეხვედრა უნგრეთთან ჰქონდა. ჩვენს გუნდს ნახევარფინალში გასასვლელად 1 ქულაც ყოფნიდა და ეს ქულა აღებულ იქნა — 0:0.

ამრიგად, საბჭოთა ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთა შორის არიან თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები მ. შერგელაშვილი და რ. ჭოხონელიძე, აგრეთვე ქუთაისის „ტორპედოს“ მარცხენა გარემარი გ. ნოდია (ამ მატჩებში გაიტანა 3 გოლი), ნახევარფინალში გავიდნენ.

4 : 1

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ ბრაზილიის გუნდის ნაცვლად სსრ კავშირის ნაკრები 29 მაისს შეხვდება იტალიის პროფესიულ კლუბ „ლანეროსის“.

გუშინწინ იტალიელებმა მოსკოვში უკვე ჩაატარეს პირველი საერთაშორისო შეხვედრა. მათი მოწინააღმდეგე იყო მოსკოვის „ტორპედო“.

მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა — 4:1.

„ᲯᲘ“ ᲚᲘᲒᲐ — IᲕᲯგუფი

26 მაისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. აი, რას გვატყობინებენ ამ შეხვედრებზე ჩვენი კორესპონდენტები:

სოხუმი. აქ 4 დღეა გადაუღებლად წვიმს. ამიტომ ადგილობრივი „დინამოს“ შეხვედრა ერევნის „არაქსთან“ ძალიან მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. სოხუმელებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მთელ მატჩში, მაგრამ კვლავ თავი იჩინა თავდამსხმელთა უზუსტო გადამწყვეტმა დარტყმებმა და თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

შ. ჯალალონია.

ზუგდიდი. ადგილობრივმა „ენგურმა“ მიიღო კიროვაკანის „ლორი“. ზუგდიდელებმა მძლავრი შეტევით დაიწყეს თამაში. პირველმა 30 წუთმა თითქმის მთლიანად „ლორის“ კართან განვლო და, მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც არ გახსნილა. 35-ე წუთზე კიროვაკანელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჯოპუამ — 1:0.

ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. სტუმრების შეკარეს ხშირად უხდებოდა თამაშში ჩაბმა. ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს აბრალავამ, ბულიამ, ჯოპუამ. მხოლოდ მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ზუგდიდელებმა შეძლეს გამარჯვების განმტკიცება. მეორე გოლი გაიტანა შეგრელაძემ — 2:0.

ბ. ალუიგაია.

ფოთი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლხიდა“ და ოქტემბერიანის „სევანი“. თამაშის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საგოლე მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. მაგალითად, 35-ე წუთზე ფოთელთა მეკარე მარღანიამ მოიგერია ძნელი ბურთი, ხოლო სტუმრების განმეორებითი დარტყმა მიზანს აცდა.

„კოლხიდის“ სრული უპირატესობით აღინიშნა მეორე ტაიმი. იყო მომენტები, როცა სტუმრების კარი თითქოს გარდუვალი გოლის წინაშე იმყოფებოდა, მაგრამ მასპინძლებმა ვერ შეძლეს ამ უაღრესად ხელსაყრელი მომენტების გამოყენება.

მატჩის მიწურულში გვაზავამ მიერ მოწოდებული ბურთი მოწინააღმდეგის კარისკენ თავით გაგზავნა „კოლხიდის“ ახალგაზრდა მარცხენა გარემარმა კვარაცხელიამ, მაგრამ „სევანი“ ძელმა იხსნა. ფოთელები დასჯერდნენ ფრეს — 0:0.

ა. ლომაია.

• • •

ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ გუნდებს გასვლითი თამაშები ჰქონდათ. **ელისტაში** ადგილობრივ „ურალანს“ შეხვდა გურჯაანის „ალაზანი“, ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ნოვოროსიისკის „ცემენტისა“ და გორის „დილის“ შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0.

მაიკოპში ადგილობრივმა „ურალიმ“ მოუგო რუსთავის „მეტალურგს“ — 1:0.

კრიმსკის „ურალიმ“ დაამარცხა ტყიბულის „მეშახტე“ — 2:1.

ᲣᲜᲐᲧᲝᲤᲝ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ★ 2:0 ★ „ᲡᲔᲕᲐᲜᲘ“ ᲫᲔᲚᲛᲐ ᲘᲮᲡᲜᲐ

★ „ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲒᲔᲚᲘ“ ᲛᲐᲡᲙᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

ფრედ დამთავრდა მატჩები: „ურალი“ (დერბენტი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:2, „სპარტაკი“ (ცისლოვოდსკი) — „ლერნაგორცი“ (ქაფანი) 0:0.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲖᲔ: ზუგდიდელ ჯოპუას 11-მეტრიანი დარტყმით გააქვს ბურთი „ლორის“ კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

„ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას. ციურიხი შვეიცარია“, — ამ მისამართით გაგზავნა 26 მაისს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ წერილი, რომელშიც იყო მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის 40 კანდიდატის წინასწარი განაცხადი. როგორც ვიცით, მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისის სტადიონებზე გაიმართება 1966 წლის 11-30 ივლისს.

აი, ისინი, ვინც ამ სიაში შევიდნენ:

მეკარეები — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი), ა. კავაზაშვილი („ტორპედო“, მოსკოვი), ვ. ბანიკოვი („დინამო“, კიევი), ვ. მასლაჩენკო („სპარტაკი“, მოსკოვი);

მცველები — ვ. პონომარიოვი და ა. შესტერნინოვი (ორივენი — ცსკა), ვ. გეტმანოვი და ვ. აფონინი (ორივენი — ასკ, დონის როსტოვი), მ. ხურცილავა და გ. ცხოვრებოვი (ორივენი — „დინამო“, თბილისი), ლ. ოსტროვსკი და ვ. სოსნინი (ორივენი — „დინამო“, კიევი), ვ. დანილოვი („ზენიტი“, ლენინგრადი), ა. კორნეევი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. ანდრეიკა („ტორპედო“, მოსკოვი) და ვ. ანიჩკინი („დინამო“, მოსკოვი);

ნახევარმცველები — ვ. ვორონინი და ვ. ბრედნევი (ორივენი — „ტორპედო“, მოსკოვი), ი. ხაბო და ვ. მუნტიანი (ორივენი — „დინამო“, კიევი), გ. სიჭინავა („დინამო“, თბილისი), გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. მასლოვი („დინამო“, მოსკოვი);

თავდასხმელები — ა. ბიბა, ა. ბიშევეცი, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. პარკუიანი და ვ. ხმელნიცკი (ყველანი — „დინამო“, კიევი), ვ. მიხაილოვი და ვ. ივანოვი (ორივენი — „ტორპედო“, მოსკოვი), ა. ბანიშევსკი და ვ. მარქაროვი (ორივენი — „ნეფტიანიკი“, ბაქო), ხ. მეტრეველი და მ. მესხი (ორივენი — „დინამო“, თბილისი), ვ. პონედელნიკი და ხ. ოსიანინი (ორივენი — „სპარტაკი“, მოსკოვი), ბ. კაზაკოვი (ცსკა), ი. ჩისლენკო („დინამო“, მოსკოვი), ე. მალოფეევი („დინამო“, მინსკი), ო. კოპაევი (ასკ, დონის როსტოვი).

როგორც ხედავთ, აქ რამდენიმე ახალი გვარია. მაგალითად, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში პირველად მოხვდნენ ახალგაზრდა კიეველი ფეხბურთელები ა. ბიშევეცი და ვ. მუნტიანი, რომლებიც კარგად გამოდიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო პირველობის ფინალურ შეხვედრებში. ყოველ ეროვნულ ნაკრებს ხომ ინგლისში 22-ზე მეტი მოთამაშის ჩაყვანის უფლება არა აქვს. სამაგიეროდ, საბრძოლო შემადგენლობაში 40 ფეხბურთელის სიაში შემავალ სპორტსმენთა გარდა ვერავინ მოხვდება.

ამრიგად, ალბათობის ქვეყანაში გამგზავრების კანდიდატები გამორკვეულია, ხოლო იმაზე კი, თუ როგორ შეამციროს პრეტენდენტთა წრე, ჩვენს ფედერაციას შეუძლია კიდევ 3 ივლისამდე იფიქროს.

„ᲓᲘᲠᲘᲥᲝᲠᲔᲑᲘ“

შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია: ნინ აქვს ყველა წიგნი, რომლებიც კი მსოფლიოში დაბეჭდილა ხ. კაპაბლანკასა და ა. რუბინშტეინის შესახებ.

ო'კელი ტურნირებსა და მატჩებში ხშირად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მონაწილეობს სისტემატურად. დღემდე მას 80-მდე შეჯიბრებაში უთამაშია და ოცდაათში პირველი ყოფილა. ამიტომაც მიენიჭა ბელგიელ მოჭადრაკეს 1950 წელს საერთაშორისო ოსტატის, ხოლო 1962 წელს — საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. ო'კელი ხალიჩით მონაწილეობს მიწურ-მოწურით ტურნირებშიც. მან I ადგილი დაიკავა მსოფლიოს III ჩემპიონატში, რომელიც 1959-61 წლებში ჩატარდა, რისთვისაც მიწურ-მოწურით თამაშშიც მიიღო საერთაშორისო დიდოსტატობა. ჭადრაკის დაუღალავი პროპაგანდისთვის ფიდე-მ ო'კელის საერთაშორისო არბიტრის წოდება მიანიჭა.

ო'კელი ჩვენში პირველად 1956 წელს იყო, XII საჭადრაკო ოლიმპიადაზე. მაშინ მან იგრძნო, რომ რუსული ენის უცოდნელად ძნელია დღეს კარგი მოჭადრაკე იყო. ამიტომ დაეუფლა მას. სხვათა შორის, ბელგიელმა დიდოსტატმა კიდევ 6 სხვა ენა იცის.

— ივნისში ბათუმში მოეწყობა საქართველოს II საერთაშორისო ტურნირი. ხომ არ ისურვებდით მასში მონაწილეობას? — ვკითხეთ მატჩის მთავარ „დირიჟორს“.

— სამწუხაროდ, ვერ შეეძლებ. დიდი სამუშაო მელის: რაც ამ დარბაზში ხდება, უნდა დაიწეროს და ფართო მკითხველისთვის ცნობილი გახდეს. თუმცა საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მინდოდა. მაინტერესებს, როგორია ჭადრაკის ტრადიციები იმ ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს ნონა გაფრინდაშვილი და ტიგრან პეტროსიანი მისცა.

... 38 წლის მიროსლავ ფილიპი და ს. ფლორი მეგობრები არიან. ამიტომ ფლორმა ყველაფერი იცის მასზე.

— მოწყინდა ჩვენს მიროსლავს. ასეთი მარათონული ასპარეზობის არბიტრი ჯერ არასდროს ყოფილა. მოჭადრაკეა და როცა არ თამაშობს, უგუნებოდაა, — ამბობს ს. ფლორი და ეშმაკურად იღიმება: — სხვა გზა არ არის, მეუღლე უნდა ჩამოუვიდეს!

— თქვენ გეცინებათ და, რომ მემსაჯა, ორ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე ვთქვი უარი, — საუბარში ერევა ფილიპი. — პეტროსიანს და სპასკის რომ ვუყურებ, მეც მწყურია თამაში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, მაგრამ თავად ფილიპი ამბობს, მატჩები მსოფლიო პირველობაზე ყველა მოჭადრაკისთვის საუნივერსიტეტო კურსის მოსმენას უდრის და ასეთი რამ არ უნდა გააცდინოს კაცმა. მაგრამ ფილიპი მარტო „საჭადრაკო ლექციების“ მოსმენით როდი კმაყოფილდება. როგორც კი დროს მოიხელთებს, თეატრებში დადის.

ფილიპი პრაღის რადიოს უკანასკნელი ცნობების რედაქციის რედაქტორია და ხშირად მონაწილეობს ტურნირებში. ბევრჯერ გაუმარჯვია. 1956 და 1962 წლებში პრეტენდენტთა ტურნირშიც კი ითამაშა. მართალია, მას როგორც ო'კელის, ამ მატჩის მონაწილეებთან საყაიმო ბალანსიც კი არა აქვს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონებისთვის მუდამ საშიში მეტოქეა. 1955 წლიდან ფილიპი საერთაშორისო დიდოსტატია.

— მატჩი უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობს. ეს მსაჯობასაც ართულებს. მაგრამ ჩვენი სტუმრები: ო'კელი და ფილიპი თავს შესანიშნავად ართმევენ საქმეს, — თქვა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ ბ. როდიონოვმა.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი — თბილისი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲖᲔ (მარცხნიდან): მ. ფილიპი და ა. ო'კელი.

ფოტო ბ. ტუროვისა.

გაისამდე, ტაშკენტში...



სურათზე: „ოლიმპიური სიჭაბუკის“ თასისთვის ერთმანეთს ეკვეთნენ მოსკოველი ი. ვახტინსკი და ტაშკენტელი ა. ხმარა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტულ დარბაზში ორი დღე მიმდინარეობდა მოსკოვის, ტაშკენტისა და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ნორჩ მოფარიკაველთა შეჯიბრება „ბურევესტნიკის“ ჯილდოზე — „ოლიმპიური სიჭაბუკე“. გარდამავალი პრიზი დაისაკუთრა თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის გუნდმა. II ადგილზე არიან მოსკოველები.

პირად შეჯიბრებაში ყველას აკლებს: რაპირით მოფარიკავე ქალიშვილებში — მ. ჩახვაშვილმა, გოგონებში — ტაშკენტელმა ნ. ნიკოლაევამ. თბილისელი მოსწავლე ც. სარქისოვა III ადგილზე გავიდა. უფროსი ასაკის რაპირისტ ჭაბუკებში იმარჯვა მოსკოველმა ე. თუმანოვმა. აქ II იყო თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. გოროდეცკი. უმცროსი ასაკის ჭაბუკებში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა მოსკოველმა ა. რომანოვმა. II ადგილი დაიკავა ვ. კალანდაძემ, III — გ. გურგენიძემ.

ესპადრონისტთა შორის მოულოდნელი იყო მოსკოველი პ. რენსკის გამარჯვება თბილისელ სპორტის ოსტატ დ. შარაშენიძესთან ორთაბრძოლაში. მოსკოველმა დაიკავა I ადგილი. უმცროსი ასაკის ბიჭებში იმარჯვა ტაშკენტელმა უ. ხიკმატულინმა. დაშნით ფარიკაობაში I ადგილის ბედს წყვეტდა მოსკოველ ნ. ლინკის და ტ. კობიძის ფინალური ბრძოლა. გაიმარჯვა სტუმარმა.

სიხარულია აღვნიშნოთ, რომ ჩვენში საკმაოდ ბევრი მხარდამფარიკავებია. [illegible] ბრძოლის ტაქტიკასა და ტექნიკას. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ლ. ბუხრაშვილი, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია გოგონათა გუნდურ შეჯიბრებაში. ჭაბუკთაგან კარგად გამოვიდნენ დ. სეანიშვილი (დაშნა) და ნ. ჯუდუხაშვილი (ესპადრონი).

ამ ქალაქების მოფარიკავეთა მორიგი სამატჩო შეხვედრა გაიმართება გაისად ტაშკენტში.

თ. ილლამოვი,

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ფარიკაობაში.

რეპორტაჟი მოკრივეთა დარბაზიდან

სპორტის სასახლე მოსკოვის კომკავშირულ გამზირზე გარეგნულად დიდ შთაბეჭდილებას როდი ტოვებს, მაგრამ აქ, საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ბაზაზე, მრავალი საუკეთესო მოკრივე და ტანმოვარჯიშე, ფრენბურთელი და კალათბურთელი, მოფარიკავე და ძალოსანი აღიზარდა.

12 საათისთვის მოკრივეთა დარბაზს მივაშურე. ტყავის ხელთათმანების არმიელ ოსტატთა უფროსმა მწვრთნელმა, რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ი. რადონიაკმა სპორტსმენები ჩაამწკრივა და დღევანდელი ვარჯიშის ამოცანები აუხსნა. დარბაზში არიან სახელგანთქმული სპორტსმენები ს. სტეპაშკინი, ო. გრიგორიევი, ვ. აგეევი, ვ. ბარანიკოვი, ა. კისელიოვი...

ვარჯიში, ჩვეულებისამებრ, სათამაშო სახეობებით დაიწყო. 30-40 წუთი მოკრივეებმა ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი ითამაშეს. შემდეგ ჩრდილთან ბრძოლა დაიწყეს, ამასობაში მე რადონიაკთან გავაბი საუბარი.

— ჩვენი მოკრივეები მთელს წელიწადს რეგულარულად ვარჯიშობენ, — თქვა რადონიაკმა. — ზამთარში თხილამურებით დასრიალებენ და ტრამპლინიდან ხტებიან, ჰოკეის თამაშობენ, ციცაბო მთებიდან მარხილებით ეშვებიან. ზაფხულში — ცურვა, მძლეოსნობა, კროსები. ვ. აგეევი, მაგალითად, 3 კილომეტრს 8 წუთში ფარავს, 100 მეტრს კი 12 წამსაც არ უნდება, მარცხენა ხელით ბირთვს 10 მეტრზე კრავს, მარჯვენათი — 12-ზე, სიგრძეზე თითქმის 6 მეტრზე ხტება, სიმაღლეზე — 165 სანტიმეტრზე. მრავალმხრივი ფიზიკური მომზადება საკუთარ სახეობაში წარმატებას განაპირობებს.

თუ საწვრთნელი შეკრება მდინარის ან ზღვისპირას ტარდება, მოკრივეები აქაც თავისებურად ვარჯიშობენ: ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ხელით წყალში ქვებს აგდებენ. ტყეში ვარჯიშისას ძველ, მაგარ კუნძებს პოულობენ და ცულით ნაფოტებად აქცევენ. ხშირად თან მომცრო მაგნიტოფონიც მიაქვთ და ვარჯიშს ტვისტით იწყებენ. ეს ცეკვა შესანიშნავად ავითარებს მუცლის პრესსა და ზურგის კუნთებს.

ჩრდილთან ბრძოლაში, ჩვეულებრივ, სარკის წინ ვარჯიშობენ. არეკვლის მიხედვით შეიძლება იმსჯელო დარტყმების სისწორეზე, შეტევის შენიღბვის ოსტატობაზე. ეს ვარჯიში 3-4-წუთიანი რაუნდის განმავლობაში გრძელდება.

ხელთათმანებში მოკრივეები რთული, კომბინაციური ბრძოლის ილეთებს სრულყოფენ.

ნახევარსაათიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ სპორტსმენები რამდენიმე ტანვარჯიშულ ილეთს ასრულებენ, კუნთებს ადუნებენ და ამით თავს სპარინგ-პარტნიორთან საბრძოლველად ამზადებენ. ეს ყველა არმიელი სპორტსმენის საყვარელი ვარჯიშია.

— ასეც ხომ ხდება, — ამბობს ვ. აგეევი, — რომ იარაღებსა და თათებზე ყველაფერი ნორმალურადაა, მაგრამ საკმარისია რინგზე ნამდვილი მეტოქის წინააღმდეგ გამოხვიდე და ყველა ათვისებულ ელემენტს ან ივიწყებ, ან ისე არ გამოდის, როგორც გინდა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ყველა, განსაკუთრებით კი, ახალი ილეთი სხვადასხვა და ძლიერ სპარინგ-პარტნიორთან ბრძოლებში უნდა აითვისო. მე, მაგალითად, ვარჯიშებზე მეტოქეებად ვირჩევ ცაციებსაც, გრძელხელებასაც, დაბლებსაც და სწრაფ მოკრივეებსაც. თუ სისწრაფის გამომუშავება ნაურს, მსუბუქი წონის პარტნიორი ამყავს, თუ ძლიერი შეტევის ან კონტრშეტევის გამომუშავებაა საჭირო, მაშინ ჩემი მეტოქეები ქვემძიმე ან მძიმე წონის ათლეტები არიან. ზოგჯერ საპასუხო რეაქციის დასამუშავებლად ელექტრონული სპარინგ-პარტნიორის — სპეციალური რობოტის გამოყენებაც შეიძლება.

ორი წლის წინათ, ტოკიოს რინგზე სტეპაშკინმა სპეციალისტებიც კი გააოცა შეტევების სისწრაფით, კარგად დაყენებული დარტყმებით, დაუშრეტელი ენერგიითა და დიდი გამძლეობით. მოსკოველ ლეიტენანტს ოლიმპიური ოქროს მედალი სწორედ ამ საბრძოლო თვისებებმა მოუტანა.

... მოკრივეებმა ხელთათმანები გაიძრეს, კუნთების მოსადუნებლად რამდენიმე ვარჯიში შეასრულეს და ტანვარჯიშით გაერთნენ. შემდეგ — თავისუფალი ჭიდაობა და ვარჯიში სიმძიმეებით, ე. წ. „აუშ-პაში“, სახტუნელა, ვარჯიში თათებსა და ტომარაზე, რაც მოკრივეებს მოძრაობების სწორ კოორდინაციაში, დარტყმების ტექნიკის სრულყოფასა და ავტომატიზაციაში ეხმარება. ამაზე კიდევ 30-40 წუთი წავიდა.

წვრთნამ დაახლოებით ორ საათს გასტანა. ასეა ყოველ ოთხშაბათს, პარასკევს, ორშაბათს. ამას გარდა, კვირაში რამდენიმეჯერ მოკრივეები ერთორ საათს სპორტის სხვა სახეობებშიც ვარჯიშობენ, რომ საერთო ფიზიკური ფორმა შეინარჩუნონ.

ბ. ოლუფესკი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

29 მაისი

პირველად თბილისის სპორტის სასახლეში!



შაიბიანი ჰოკეი

ამხანაგური შეხვედრა

საქართველო (ნაკრები) — თბილისი (ნაკრები)

დასაწყისი 19 ს.

ესპანური ფინალი

ბანვლილ ოთხშაბათს ბარსელონაში გაიმართა ბაზრობათა თასის მესამე, დამატებითი მატჩი ადგილობრივ „ბარსელონასა“ და ლონდონის „ჩელსის“ შორის.

მამდინარეობდა მატჩის მე-3 წუთი, როცა ესპანელთა თავდამსხმელმა ფუსტემ გოლით დაამთავრა თავისი გარღვევა. „ჩელსის“ რამდენიმე კონტრშეტევა წარმატებით იქნა მოგერიებული, რის შემდეგ „ბარსელონა“ თითქმის არ მოსცილებია მეტოქის კარს. შესვენებისათვის ანგარიში იყო 3:0 ესპანელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ (ბურთები გაიტანეს სალდუამ და რიფემ).

ბრძოლის სურათი არ შეცვლილა მეორე ტაიმშიც და რიფემ და ფუსტემ საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი ინგლისელებს — 5:0.

გათამაშების ფინალში გავიდა ესპანეთის ორი კლუბი: „რეალ სარაგოსა“ და „ბარსელონა“. ფინალური მატჩები გაიმართება 1 და 5 ივნისს.

(საკ. ინფ.).

ფეხბურთის ქრონიკა

● **ლიეჟში** ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიისა და ირლანდიის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ირლანდიელებმა — 3:2.

● **პორტუგალიის** თასის მფლობელი გახდა „ბრაგა“, რომელმაც ფინალში დაამარცხა „სეტუბალი“ — 1:0.

● **საფრანგეთის** თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნის ჩემპიონი „ნანტი“ და „სტრასბურგი“. გაიმარჯვა „სტრასბურგმა“ — 1:0.

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲯᲕᲘ

● *სირაკუზი (იტალია), 26 მაისი.* სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო იტალიის ეროვნულ გუნდს — 4:2. თავი გამოიჩინა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ოსიპოვმა, რომელმაც მეტოქის კარში 2 გოლი გაიტანა. დანარჩენი ბურთების ავტორები არიან: ვ. სემინოვი, ბ. გრიშინი და იტალიელები გუერინი და პიცო. საბჭოთა წყალბურთელები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, იტალიაში კიდევ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

● **ლაიფციგი,** 26 მაისი. ადგილობრივი სტადიონის სარბენ ბილიკზე სრულიადგერმანიის ახალი რეკორდი 10 ათას მეტრზე რბენაში დაამყარა ი. ჰაზემ (გდრ) — 28.12,6 (მესამე შედეგი მძლეოსნობის მსოფლიო ისტორიაში). ეს მანძილი ჰაზეზე სწრაფად მხოლოდ ორმა სტაიერმა დაფარა: მსოფლიოს რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა (27.39,4) და ევროპის რეკორდსმენმა, ბელგიელმა გ. რულანტსმა (28.10,6).

● **ტურინი, 26 მაისი.** უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში აქ დაამარცხა ადგილობრივი „იუვენტუსი“ — 2:1 (0:1).

● **ბუენოს-აირესი,** 26 მაისი. **არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა წააგო „ფიორენტინასთან“ (იტალია) — 0:1.**

● **სოფია, 26 მაისი.** ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა რ. ვიტლაჩიელმა ერთბაშად შეამოწმა ინგლისში გამგზავრების კანდიდატთა 2 შემადგენლობა. ერთმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა სოფიის „სლავია“, ხოლო მეორემ — იუგოსლავიის „რადნიჩკი“ — 5:1.

● *ვროცლავი, 26 მაისი.* ოლიმპიური ჩემპიონის, უნგრელი ესპადრონისტის ტ. პეჯის გამარჯვების შემდეგ სოციალისტური ქვეყნების მოფარიკაველთა ტურნირში კვლავ ჩემპიონმა მოიპოვა წარმატება. ესპადრონისტთა გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა — სსრ კავშირის ნაკრებმა. ფინალურ მატჩში მოსკოველებმა უ. მავლიხანოვმა, მ. რაკიტამ, ლენინგრადელებმა ბ. მელნიკოვმა და ე. ვინოკუროვმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 9:6. საბჭოთა დაშნით მოფარიკაველებმა გ. კოსტავამ, გ. კრისმა და ი. ვიტებსკიმ საფრანგეთის ნაკრებ გუნდთან მატჩის შემდეგ პარიზიდან ვროცლავში ვერ მოუსწრეს პირადი ტურნირის დასაწყისს. მათს არყოფნაში ჩვენმა ერთადერთმა დაშნით მოფარიკავემ, მინსკელმა ი. სმოლიაკოვმა მაინც მიაღწია ფინალს, მაგრამ ექვსთა საბოლოო ტურნირში III ადგილი დაიკავა. I-II ადგილებზე გავიდნენ უნგრელები ფრედა და ნადი.

თბილისის ნაკრები ბუზებზე

ᲰᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ცენტრალური საჰადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **28 მაისი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. VIII ტური.** დასაწყისი 17 ს.

ᲫᲐᲚᲝᲜᲝᲜᲒᲐ. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **28-29 მაისი. თბილისის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებებისა და სპორტკლუბების ნაკრებ გუნდებს შორის.** დასაწყისი: 28-ში — 17 ს., 29-ში — 12 ს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. „დინამოს“ სტადიონი. **29 მაისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის (II ჯგუფი). „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 14 ს.

ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲝᲜᲒᲐ. „დინამოს“ სტადიონი. **28 მაისი. ამერიკავკასიის რესპუბლიკათა და მოლდავეთის სამატჩო შეხვედრა.** დასაწყისი 16 ს.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია იუწყება საკავშირო კატეგორიის მსაჯის **გივი ივანეს ძე კობახიძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 27 და 28 მაისს 8 საათზე; გამოსვენება — 29-ში 3 საათზე ბინიდან: მარჯანიშვილის ქ. № 26-ა.

ᲛᲘᲓᲔᲚᲘᲡ 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04957